ხელშეკრულება # 3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „ 18„ იანვარი “ 2021 წელი

ერთის მხრივ ქ, თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი დირექტორის კახი მარკოზაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფპ თეიმურაზ ნიკოლაიშვილი სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1, ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1.ხელშეკრულების საგანია მონაცემების დამუშავების მომსახურების (CPV-72310000) შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

1.2.ხელშეკრულების ობიექტია: 2017 წელს სერბეთის ქალაქ ნიშში ჯაზ-ფესტივალზე გამართული კონცერტის, 2007 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ამერიკელ პიანისტ დენ ტეპფერთან ერთობლივი კონცერტის, 2015 წელს თბილისის სიმფონიურ ორკესტრისთან ერთად ჯ.კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ჩატარებული კონცერტის და 2007 წელს მარჯანიშვილის თეატრში ბიგ-ბენდის და ბრიტანელ მუსიკოს ჯეისონ ისააკის ერთობლივად ჩატარებული კონცერტის ჩაწერილი/გადაღებული აუდიო/ვიდეო მონაცემების დამუშავება. (აუდიო მასალის სტუდიური მასტერინგი, მონტაჟი და ვიდეო მასალის კორექტირება.) (CPV-72310000).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1.გასაწევი მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 4950 (ოთხიათასცხრაასორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შსყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშერულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1.მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მონაცემების დამუშავების მომსახურება ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. სამუშაო შესრულებულ უნდა იქნას დროულად და ხარისხიანად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება ჩაითვლება გაწეულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია კახი მარკოზაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1.გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწრებით;

6.2.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

-უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელსეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა

ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისთვის გამოიყენება წერილობითი ფორმა), თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით..

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბოიჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისდ.

12. ხელშეკრულების ინსპექირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიღების პარალელურად მოახდინოს ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5,2 მუხლში აღნიშნული პირი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე:
17.01.2021-04.03.2021
(რიცხვი, თვე, წელი)
13.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ქალაქ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ #73 სახელმწიფო ხაზინა: ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი: TRESGE22 ს/კოდი: 202064942	ფპ: თეიმურაზ ნიკოლაიშვილი ბანკი: ‹სს „ბანკი ქართუ“ ბ/კოდი: CRTUGE22 ა/ა GE25 CR00 3008 6089 8936 01 პ/ნ №01017007739

ქ. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრის დირექტორი

კახი მარკოზაშვილი

Tbilisi City Hall Orchestra Big - Band
Подписано цифровой подписью: Tbilisi City Hall Orchestra Big - Band
Дата: 2021.01.18 14:50:33 +04'00'

თეიმურაზ ნიკოლაიშვილი

Teimuraz Nikolaishvili
Подписано цифровой подписью: Teimuraz Nikolaishvili
Дата: 2021.01.18 14:48:50 +04'00'